



30.07.2012

## "ხუდონის ჰესი ქვეყნისთვის მომგებიანი არ იქნება"

გიორგი მარგველაშვილი

შეუერთდი განხილვას

კონტრაქტის თანახმად, ხუდონის პროექტის განხორციელებისას ძირითადი შემოსავალი ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმიდან შემოსული თანხები იქნება - 12% მოგების გადასახადი, 20% - საშემოსავლო მომსახურე პერსონალის ხელფასებიდან.

ამასთან, ვინაიდან არც საქართველოს შრომითი კანონმდებლობა და არც ხელმოწერილი კონტრაქტი არ მოითხოვს ქართველი მუშახელის დაქირავებას, მოსალოდნელია, რომ მათი დიდი ნაწილი უცხოელი იქნება (როგორც ამას აჩვენებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, თბილისის შემოვლითი რკინიგზა), ქვეყნების უმეტეს ნაწილთან ხელმოწერილი გვაქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება. ამასთან, ქართველი მუშახელი ძირითადად არაკვალიფიციურ სამუშაოებზე საქმდება.

თუმცა, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ხუდონის პროექტი შენდება ე.წ. "აშენე, ფლობდე, ოპერირებდე" პრინციპით. სახელმწიფო კონტრაქტით იღებს საკმაოდ ბევრ ვალდებულებას: პროექტისთვის საჭირო მიწის გადაცემა სიმბოლურ ერთ დოლარად, საქართველოს კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში მატერიალური დანაკარგების ანაზღაურება... ამ ყველაფრის მიუხედავად, ის პროექტიდან არ ითხოვს არანაირ დამატებით ბონუსსა თუ წილს, თუნდაც უფასო ელექტროენერჯის სახით, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას.

საქართველოს მთავრობასა და ხუდონის მშენებელ კომპანიას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა, ჰესის მშენებლობის დამთავრებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში უნდა შეიძინოს მიმდინარე წლის ენერგობალანსით გათვალისწინებული

ელექტროენერჯია, ერთი კილოვატი - 5,84 ცენტად. კომპანიას რჩება უფლება, მოითხოვოს ფასის ზრდა. თუმცა, შეთანხმების თანახმად, ზედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს იმ დროისთვის თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერჯიის ტარიფს.

ხუდონის შესასყიდი ტარიფი მაღალია, სხვანაირად შეუძლებელია პროექტის ეკონომიკური უკუგების 5-10%-იანი უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ 2005 წელს, მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, პროექტის 5%-იანი ეკონომიკური უკუგებისთვის ტარიფი არ უნდა ყოფილიყო 4 ცენტზე ნაკლები. სხვა შემთხვევაში, ხუდონის ჰიდროელექტროსადგური არარენტაბელური იქნება.

არსებობს მთელი რიგი ხარჯები, რომელთაც პროექტის ხარჯთაღრიცხვა არ ითვალისწინებს.

ხუდონის პროექტის ეკონომიკური ფაქტორების შეფასება სადავოა. წარმოდგენილი პროექტის ერთ-ერთი ალტერნატივის ღირებულება 971 მილიონი დოლარია, საიდანაც 20%, იქ არსებული ინფრასტრუქტურის სახით, ათვისებულად ითვლება. ხოლო დარჩენილი ინვესტიცია 780 მლნ აშშ დოლარია. ხუდონჰესის წინასწარი ეკოლოგიური და სოციალური კვლევების დოკუმენტში პროექტის ეკონომიკური შეფასება და უკუგების კოეფიციენტი საერთოდ არ არის წარმოდგენილი. თუმცა, ჯერ კიდევ 2008 წლის განხილვების დროს, პროექტის ტექნიკურმა ჯგუფმა დაადასტურა, რომ გადახარჯვა შეიძლება იყოს 25 %, ვინაიდან ჯგუფი არსებული ინფრასტრუქტურის საიმედოობაში არ არის დარწმუნებული.

ამასთან, ხუდონჰესის მშენებლობა იწვევს მესტიამდე მიმავალი ცენტრალური გზის ჩაძირვას, ხოლო ალტერნატიული მაღალი კლასის გზის მშენებლობის ხარჯები წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში არ არის შეტანილი. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ სვანეთში არსებულ ეროზიასა და მეწყრულ მოვლენებს, 200 მეტრით ზემოთ გზის გადატანა საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს.

ამასთან, წყალსაცავისა და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობამ შეიძლება გააძლიეროს უკვე არსებული ინტენსიური ეროზიული პროცესები; სტაბილიზაციის სამუშაოები, სადრენაჟო სისტემის მოწყობა და ფერდობების ეროზიის მუდმივი მონიტორინგი საკმაოდ დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

ხუდონის ელექტროსადგური რენტაბელურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯია რეგიონულ ბაზარზე გავიდა, ან გაიზარდა მისი ფასი ქვეყნის შიგნით. პროექტის მხარდამჭერები ხშირად ლაპარაკობენ ხუდონის იაფ შიდა ელექტრომომარაგებაზე და ამავდროულად, მისი ექსპორტის პოტენციალზე. 2008 წელს მსოფლიო ბანკის შეფასებით, ხუდონი არ წარმოადგენს საუკეთესო პროექტს

ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

დღეს საქართველოში ენერგოსაფრთხოების პრობლემა დაყვანილია მიწოდების უსაფრთხოებამდე. თუმცა, მისი უპირველესი ამოცანაა ენერჯის არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობა, არამედ მასზე დამოკიდებულების შემცირება და ენერგეტიკული სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა.

შესაბამისად, ქართული ენერგოსაფრთხოება აგებულია შემდეგ პრინციპზე: ზამთრის პერიოდში ელექტროენერჯის იმპორტი ან შესყიდვა ახალი ჰიდროენერგოსადგურებიდან, ხოლო ზაფხულის განმავლობაში ხარჯების დაბალანსება ე.წ. ელექტროენერჯის გაცვლით, ანუ ექსპორტით. ამასთან, ახალი ჰიდროელექტროსადგურებიდან სარგებელი ქვეყნის ბიუჯეტისთვის მინიმალურია.ლოგიკა პრინციპულად მისაღებია, თუმცა ჩნდება კითხვა - რამდენად არიან დაინტერესებული მეზობელი სახელმწიფოები ქართული ელექტროენერჯის შექენით იმ პირობებში, როდესაც ისინი ინტენსიურად ავითარებენ საკუთარ ელექტროენერჯის და აქვთ კონკრეტული პროგრამები და გეგმები. ჩვენ კი შესაბამისი კვლევები ამ ქვეყნებში მოსალოდნელი დეფიციტის შესახებ არ გაგვაჩნია.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

**Comment**

Facebook social plugin

